

2018 წლის ყველაზე ღია და დახურული საჯარო დაწესებულებების ვინაობა ცნობილია

IDFI-მ საქართველოში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ანგარიში წარადგინა

#FOI2019 #FreedomOfInformation #IDFoI

პრესრელიზი

თბილისი. 3 მაისი 2019 წელი - დღეს ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა (IDFI) საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის 2018 წლის ანგარიში წარადგინა და 43 ყველაზე ღია საჯარო დაწესებულება დააჯილდოვა.

სიგელები გადაეცა ყველა იმ უწყებას, რომელმაც 2018 წელს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის 100%-იანი მაჩვენებელი აჩვენა: *საჯარო სამსახურის ბიურო, სტატისტიკის ეროვნული სამსახური, გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო, გარემოს ეროვნული სააგენტო, განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა, სურსათის ეროვნული სააგენტო და სხვა.*

2018 წლის ყველაზე დახურული საჯარო დაწესებულებები: IDFI-ის მიერ ყველაზე დახურულ საჯარო დაწესებულებად იუსტიციის სამინისტროს სისტემა შევასდა. 2018 წელს იუსტიციის სამინისტროს და მის სისტემაში შემავალ უწყებებს (11 სსიპ-ი) სულ გაეგზავნათ 345 მოთხოვნა, საიდანაც 316 მოთხოვნა უპასუხოდ იქნა დატოვებული. იუსტიციის სამინისტრომ 26 მოთხოვნიდან 25 უპასუხოდ დატოვა და მისმა ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მაჩვენებელმა მხოლოდ 3.85% შეადგინა.

იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი 7 უწყების გარდა, კიდევ 8 დაწესებულება აღმოჩნდა ისეთი, რომელმაც უპასუხოდ დატოვა საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის შესახებ IDFI-ის ყველა განცხადება: *ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო, სახელმწიფო ხაზინა, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერია, მესტიის მუნიციპალიტეტის მერია და სხვა.*

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა 2018 წელს: მონიტორინგის შედეგების თანახმად, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ხარისხი წინა წელთან შედარებით მცირედით გაუარესდა. IDFI-მ 282 საჯარო დაწესებულებაში გაგზავნილი 6,413 მოთხოვნიდან სრულყოფილი პასუხი მიიღო 3,653 განცხადებაზე, არასრულყოფილი - 493 მოთხოვნაზე, უარი - 33 შემთხვევაში, უპასუხოდ დატოვებულ იქნა 959 მოთხოვნა. საჯარო დაწესებულებების ყველაზე დიდმა ნაწილმა (20%) არ გაასაჯაროვა *პრემიებისა და სახელფასო დანამატების გაცემის შესახებ მოხსენებითი ბარათები. ასევე პრობლემური იყო საწვავის მოხმარებაზე არსებული ლიმიტების და ხარჯების, უწყების წინააღმდეგ დასრულებული სასამართლო დავების და სარესტორნო მომსახურებაზე გაწეული ხარჯების შესახებ ინფორმაციის მიღება.*

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა 2010-2018 წლებში: ამ პერიოდში IDFI-მ საჯარო დაწესებულებებში სულ გაგზავნა 51,723 საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა, რაზეც პასუხი მიღებულია 42,965 შემთხვევაში. **გაცემული პასუხების ყველაზე მაღალი პროცენტული მაჩვენებელი (90%) 2013 წელს იყო.** 2014 წელს აღნიშნული მაჩვენებელი 82%-მდე შემცირდა, 2015 წელს - 86%, 2016 წელს - 85%, ხოლო 2017 წელს - 88%. **2018 წელს** მიღებული პასუხების რაოდენობა წინა წელთან შედარებით 3%-ით შემცირდა და 2016 წლის მაჩვენებელს გაუტოლდა - 85%.

პროექტის მხარდამჭერია ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ დაფინანსებული აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EWMI) ACCESS-ის პროექტი.

საკონტაქტო ინფორმაცია:

- მერი მახარაშვილი, IDFI, +995 599 500 137, m.makharashvili@idfi.ge